# უცხოეთის

## ქართული მემკვიდრეობა

(20-24 სექტემბერი, 2011)

მისამართი:
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მ. ალექსიძის 1/3
0193, თბილისი, საქართველო

ტელ.: (+995 32) 36-41-85, 36-34-99
ფაქსი: (+995 32) 36-41-85, 36-32-41
ელფოსტა: conference@manuscript.ac.ge
www.manuscript.ge

## შესავალი

უძველესი დროიდან დღემდე ქართული კულტურა მდიდრდება და ვითარდება მსოფლიო კულტურებთან მჭიდრო კავშირში.

ქართული ქრისტიანული კულტურის ფორმირების პროცესზე უდიდესი გავლენა მოახდინა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის უმნიშვნელოვანეს სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრებთან ურთიერთობამ. ქრისტიანული სამყაროს ერთიან კულტურულ სივრცეში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად ქართული პოლიტიკური და კულტურული ელიტა ატარებდა თანამიმდევრულ პოლიტიკას — იერუსალიმში, ათონზე, ანტიოქიასა თუ კონსტანტინოპოლში აარსებდა ქართულ მონასტრებს, რომლებიც ფართო საგანმანათლებლო-კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ.

ბიზანტიურ სამყაროსთან ურთიერთობის პარალელურად მჭიდრო კავშირები ყალიბდება ისლამურ აღმოსავლეთთან. პოლიტიკური და სარწმუნოებრივი სხვაობის მიუხედავად, კულტურული ტენდენციები აქ ორგანულად შეერწყა ერთმანეთს.

ახალ დროში (XVII - XVIII სს.), ახალი რეალობების პირობებში, პოლიტიკური ორიენტაციის რუსეთისაკენ გადახრამ გამოიწვია ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრების გადანაცვლება რუსეთში (მოსკოვსა და პეტერბურგში). ხოლო პოლიტიკური მოვლენების დინამიკამ XIX-XX საუკუნეებში ხელი შეუწყო ქართველ მოღვაწეთა კონტაქტების გაფართოვებას ევროპის სამეცნიერო ცენტრებთან. ამ დროს განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს უცხოეთში მცხოვრები ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, რომელიც ქართული კულტურისათვის მრავალი მნიშვნელოვანი წამოწყების ინიციატორი ხდება.

სხვადასხვა დროს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულმა ქართველებმა, თავიანთი აქტიური მოღვაწეობის შედეგად, არც თუ უმნიშვნელო მატერიალური თუ სულიერი კვალი დატოვეს, რისი კვლევაც დღეს მეტად აქტუალურია.

კონფერენციის მიზანია, მისცეს საშუალება უცხოეთის ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევით დაინტერესებულ მეცნიერებს, წარმოადგინონ თავიანთი მუშაობის შედეგები და სიახლეები სხვადასხვა კვლევითი სფეროების მიხედვით.

## ძირითადი სამუშაო თემატიკა

- უცხოეთის ქართული მონასტრები
- ისტორიული ქართული ტერიტორიები საქართველოს ფარგლებს გარეთ (კულტურული მემკვიდრეობა)
- უცხოეთის ქართული ხელნაწერი და საარქივო მემკვიდრეობა
- უცხოეთის სხვა ქართული სიძველეები

## სამუშაო სექციები

- ისტორია/წყაროთმცოდნეობა/არქივთმცოდნეობა
- ფილოლოგია/კოდიკოლოგია
- ხელოვნების ისტორია
- არქეოლოგია/ეთნოლოგია
- ენათმეცნიერება
- რესტავრაცია-კონსერვაცია

## განაცხადის ფორმა

სახელი:

გვარი:

ტიტული/პოზიცია:

სამეცნიერო ხარისხი:

ორგანიზაცია:

მისამართი:

ტელეფონის ნომრები:

სამსახური: ..................................

ბინა: ............................................

მობილური: ................................

ფაქსი: .........................................

ელ-ფოსტა:

მონაწილეობის ფორმა:

☐ მომხსენებელი

☐ მსმენელი

## ოფიციალური სამუშაო ენები

ქართული და ინგლისური

თეზისების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 2 A4-ს.

შრიფტი: Sylfaen, ზომა - 10, ინტერვალი - 1

შენიშვნა: კონფერენციაზე არ მიიღება ისეთი მოხსენებები, რომლებიც ადრე წაკითხული ან გამოქვეყნებულია.

მოხსენება უნდა შეიცავდეს კონფერენციის თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სიახლეს.

## მოხსენების ფორმატი

მოხსენების საბოლოო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 7 A4-ს (შრიფტი: Sylfaen, ზომა - 10, ინტერვალი - 1).

მოხსენება უნდა იყოს ნაბეჭდი, ავტორის სახელის, გვარის, სამეცნიერო ხარისხის, სამსახურებრივი პოზიციის მითითებით.

მასალას უნდა ერთვოდეს საკონტაქტო კოორდინატები (ელ-ფოსტა, ტელეფონი, ფაქსი...)

საორგანიზაციო კომიტეტი უფლებას იტოვებს უკან არ დააბრუნოს მიღებული განაცხადები.

## ვადები

| | |
|---|---|
| თეზისების წარმოდგენის ბოლო ვადა | 15 ივნისი |
| მიღებული თეზისების დამოწმების ბოლო ვადა | 30 ივნისი |
| მოხსენებების მიღებისა და რეგისტრაციის ბოლო ვადა | 5 სექტემბერი |
| კონფერენციის გახსნა | 21 სექტემბერი |

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
0193 თბილისი, მ. ალექსიძის 1/3. ტელ./ფაქსი.: (995 32) 36-41-85
conference@manuscript.ac.ge www.manuscript.ge